საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/30 **27/11/2020**

რეცენზია

კლინიკური პრაქტიკის სტანდარტის/პროტოკოლის თაობაზე

0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები პირველად ჯანდაცვაში

პრობლემის აქტუალობა

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციას განხილვისა და რეცენზირების მიზნით წარედგინა პროტოკოლი „0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები პირველად ჯანდაცვაში“.

პროტოკოლი შემუშავებულია პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) მიერ ჩეხეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. პროტოკოლი ეყრდნობა ამერიკის პედიატრთა ასოციაციის, ამერიკის ოჯახის ექიმთა ასოციაციის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების რეკომენდაციებს. პროტოკოლში ასევე გამოყენებულია მსგავს თემებზე შემუშავებული ეროვნული გაიდლაინებიც.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალშობილთა და მათ შორის, დღენაკლულთა გადარჩენის მაჩვენებელი და შესაბამისად, გაიზარდა ქრონიკული დაავადებების და განვითარების პრობლემების სიხშირე, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველად ჯანდაცვის სიტემაში პრევენციული მედიცინის დამკვიდრებას, მშობლებისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებას ბავშვის აღზრდის თანამედროვე ასპექტებზე, რაც ერთი მხრივ, შეამცირებს მწვავე და ქრონიკული დაავადებების სიხშირეს, მეორე მხრივ კი, ხელს შეუწყობს ბავშვის განვითარებას, მისი სრული პოტენციალის გამოვლენას და მაქსიმალური სოციალური თანასწორობის მიღწევას. ადრეული ასაკის ბავშვზე მეთვალყურეობა მოითხოვს სხვადასხვა დონის სერვისების (სამედიცინო დაწესებულებები, სოციალური სერვისები, სკოლამდელი აღზრდა, ინტერვენციული პროგრამები და სხვ.) ინტეგრირებას, რათა ბავშვზე ზრუნვა უფრო მეტად იყოს ორიენტირებული პრობლემის დროულ გამოვლენასა და ადეკვატურ მართვაზე. შესაბამისად, პირველადი ჯანდაცვისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და სტრუქტურირებული რეკომენდაციების არსებობა ბავშვთა

ჯანმრთელობის პრევენციული სერვისების ხარისხიანად წარმართვის მიზნით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

პროტოკოლის სტრუქტურა და შინაარსი

პროტოკოლის სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია დაავადებათა მართვის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) შემუშავების სახელმძღვანელოსთან. ავტორების მიერ ჩატარებულია ყოვლისმომცველი სამუშაო უახლესი ავტორიტეტული საერთაშორისო რეკომენდაციების მოძიებისა და პროტოკოლში მათი ინტეგრაციის მიმართულებით.

პროტოკოლში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული როგორც ბავშვის ფიზიკური, ისე სოციალურ-ემოციური და კოგნიტიური განვითარების ძირითადი ნიშანსვეტები. პროტოკოლი მოიცავს ყველა ღონისძიებას და საკონსულტაციო თემატიკას, რომელზეც პედიატრი/ოჯახის ექიმის ჯანმრთელი ბავშვის ვიზიტის დროს უნდა ამახვილებდეს ყურადღებას. პროტოკოლში აღწერილია ასაკისათვის სპეციფიური გასინჯვის, შეფასების, კვლევის და პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობა, ასაკისათვის სპეციფიკური სკრინინგული რეკომენდაციები, მშობლის საკონსულტაციო თემატიკა.

პროტოკოლის ძირითადი რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მარტივად და ადვილად აღსაქმელია პირველადი ჯანდაცვის რგოლში დასაქმებული პერსონალისთვის და მოიცავს ადრეული ასაკის ბავშვის ჯანმრთელობის დამკვიდრების ყველა საკითხს, როგორიცაა ფიზიკური განვითარების შეფასება, გასინჯვისას ჩასატარებელი სკრინინგული ღონისძიებები (მხედველობის, სმენის, ბარძაყის დისპლაზიის და სათესლეების ჩამოუსვლელობის სკრინინგი), განვითარების ნიშანსვეტების შეფასება, იმუნიზაცია, აუტისტური სპექტრის დარღვევების სკრინინგი და გამოვლენილი დარღვევების შედეგად განსახორციელებელი ღონისძიებები.

პროტოკოლის შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან

პროტოკოლში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პჯდ ექიმების კომპეტენციას და ქსელში არსებულ რესურსებს. პროტოკოლის წარმატებული დანერგვის მიზნით, აუცილებელია, ოჯახის ექიმებისა და ბავშვთა ადრეული ინტერვენციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული დაწესებულებების მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობა. ამდენად, ოჯახის ექიმების მიერ რისკ-ჯგუფის ბავშვების დროული აღმოჩენისა და რეფერალის შესაძლებლობის შესახებ მათი ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, რეკომენდებულია პროტოკოლის საფუძველზე უპგ კურსის შემუშავება და პჯდ პროფესიონალების რეგულარული ტრენინგი ამ საკითხებთან დაკავშირებით.

დასკვნა

– წარმოდგენილი პროტოკოლი „0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები პირველად ჯანდაცვაში“ წარმოადგენს კარგად მომზადებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს პირველადი

ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის და ხელს შეუწყობს ადრეული ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის პრევენციული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

– პროტოკოლი აკმაყოფილებს ამ ტიპის დოკუმენტებისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას და რეკომენდაციას ვუწევთ აღნიშნული სახით მის დამტკიცებას.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ "საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის" პრეზიდენტი